

ოქანში ძალადობის ანაფორი: თეორიული პარადიგმები, ფორმები, სუბიექტები და ლაზარების პროცესები

ვახტანგი მურადაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
დოქტორანტი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის აფილირებული ასისტენტი
საქართველო, თბილისი

ელ.ფოსტა : v.muradashvili@gmail.com

აბსტრაქტი

ჟანში ძალადობის პროცესის გადაჭრა დღემდე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს დღევანდელ მსოფლიოსა და, შესაბამისად, საქართველოშიც. გახშირებული ძალადობის ფაქტების საპირჩონედ არაერთი საჭირო და მნიშვნელოვანი ცვლილება-დამატებები შევიდა ქართულ კანონმდებლობაში, თუმცალა, მოუხედავად ზემოაღნიშნული მცდელობისა, დანაშაულის სტატისტიკა კვლავაც მზარდია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ ოჯახში ძალადობის საკითხი და გავაანალიზოთ პროცესის რაობა მისი ეფექტურიანი კონტროლისათვის.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობის საკითხის შესწავლას; განსაკუთრებით, კი მისი თეორიული საფუძვლების, განხორციელების ფორმების, სუბიექტებისა და ლატენტური ხასიათის. ნაშრომში გაანალიზებულია ოჯახში ძალადობის შესწავლის ძირითადი თეორიული პარადიგმები, მათ შორის ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მიდგომები, რომლებიც განმარტავენ ძალადობის წარმოშობისა და განვითარების მექანიზმებს.

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ისტორიული, მიმოხილვითი, სისტემური და ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა სისტემურად და შინაარსობრივად შეფასდეს საკვლევი თემის აქტუალური პროცესები.

სტატიაში განხილულია თეორიული თეორი იები ოჯახში ძალადობის შესახებ, დეტალურადაა გაანალიზებული ოჯახი ძალადობის ტიპოლოგია, რომელიც მოიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ეკონომიკურ ძალადობას, იძულებას და უგულებელყოფას. ნაშრომში კრიტიკულად გაანალიზდა ოჯახში ძალადობის კანონით გათვალისწინებული სუბიექტები და გამოიკვეთა არსებული ხარვეზები. გააზრებულია ოჯახში ძალადობის ლატენტურობის პროცესი. ასევე, განხილულია ძალადობის ფაქტების გამოვლენის არსებული მეთოდები და სუბიექტთა იდენტიფიცირებისა და სტატუსის მინიჭების პროცედურები.

საბაზო სიტყვები: ძალადობა, სუბიექტები, პრევენცია

ANATOMY OF DOMESTIC VIOLENCE: THEORETICAL PARADIGMS, FORMS, SUBJECTS, AND THE PROBLEM OF LATENCY

Vakhtangi Muradashvili

PhD student of the Faculty of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

*Affiliated Assistant of the Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University
Georgia, Tbilisi*

Email: v.muradashvili@gmail.com

ვახტანგი მურადაშვილი

ABSTRACT

Solution of the problem of domestic violence is still a topical issue in today's world and, accordingly, in Georgia. To counter the increasing incidence of violence, a number of necessary and important amendments have been made to Georgian legislation, however, despite the above-mentioned efforts, crime statistics are still increasing. That is why it is important to investigate the issue of domestic violence and analyze the nature of the problem in order to effectively control it.

The present work aims to study the issue of domestic violence; in particular, its theoretical foundations, forms of implementation, subjects and latent nature. The work analyzes the main theoretical paradigms of the study of domestic violence, including psychological and sociological approaches that elucidate the mechanisms of the origin and development of violence.

Given the relevance of the topic, historical, review based, systematic and formal-logical methods have been used within the framework of the study, which allow for a systematic and substantive assessment of the current problems of the research topic.

The article discusses theories about domestic violence, analyzes in detail the typology of domestic violence, which includes physical, psychological, sexual, economic violence, coercion and neglect. The work critically analyzes the subjects provided for by the Domestic Violence Law and identifies existing gaps. The problem of the latency of domestic violence is understood. Also, the existing methods of detecting facts of violence and the procedures for identifying subjects and assigning status are discussed.

KEYWORDS: Violence, Subjects, Prevention

შესავალი

ოჯახში ძალადობა წარმოადგენს გლობალურ სოციალურ პრობლემას, რომელიც უარყოფითად აისახება ინდივიდების, ოჯახებისა და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობაზე. მიუხედავად მრავალი კვლევისა და პრევენციული ღონისძიებებისა, აღნიშნული სოციალური მოვლენა კვლავაც აქტუალურ გამოწვევად რჩება. ოჯახში ძალადობა, როგორც სოციალური პათოლოგია, კვეთს კულტურულ, ეკონომიკურ და რელიგიურ საზღვრებს, წარმოადგენს რა ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას და მნიშვნელოვან ბარიერს ჯანსაღი საზოგადოების განვითარებისათვის. ოჯახში ძალადობის დამანგრეველი გავლენა ვრცელდება არა მხოლოდ უშუალო მსხვერპლზე, არამედ ოჯახის სხვა წევრებზეც, განსაკუთრებით ოჯახის მცირეწლოვან და არასრულწლოვან წევრთა ნორმალურ განვითარებაზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე, რაც გამოიხატება ფსიქოლოგიური ტრავმებით, სოციალური იზოლაციით, ეკონომიკური პრობლემებითა და ჯანმრთელობის გაუარესებით.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობის საკითხის ანალიზს. ნაშრომში მიმოიხილვება თეორიები ოჯახში ძალადობის შესახებ, რომლებიც თავისებურად ცდილობენ ახსნა მოუძებნონ ძალადობის გამოწვევ მიზეზებს. დეტალურად გაანალიზდება ძალადობის განხორციელების ის ფორმები, რომლებიც ქართული კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებითაა გათვალისწინებული. როგორებიცაა: ფიზიკური, ფსიქოლოგიური (ემოციური), სექსუალური, ეკონომიკური იძულება და უგულებელყოფა. მეტი თვალსაჩინოებისათვის და საზოგადოების ცნობიერების დონის გასაგებად მოყვანილი და გააზრებული

იქნება ძალადობის ცალკეული ფორმის მსხვერპლის მიერ აღქმადობისა და ამ კუთხით რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკური ინფორმაცია.

ნაშრომი სიღრმისეულად და კრიატურ საკითხებს სუბიექტთა ჩამონათვალის სრულყოფისათვის. აგრეთვე მიმოიხილავს და აანალიზებს ოჯახში ძალადობის სუბიექტთა იდენტიფიცირებისა და სტატუსის მინიჭების თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, რაც უმნიშვნელოვანესია დანაშაულის პრევენციისა და ხელახალი ჩადენის აღკვეთისათვის. ასევე განხილული იქნება ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის ლატენტურობის საკითხი.

I თეორიები თქანები ძალადობის შესახებ

1970 წლებში დაიწყო ნაცემ ქალთა მოძრაობა. „როდესაც, აღნიშნული მოძრაობა ყალიბდებოდა, საზოგადობა ინერტული იყო ძალადობის აღნიშნულ ფორმასთან მიმართებით. ძირითადი სოციალური ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედიაც კი დუმდა აღნიშნულ პრობლემაზე”¹. აღნიშნული თეორია, თუ რატომ სცემენ კაცები ქალებს, ეფუძნებოდა ფსიქოპათოლოგიას: „ამ თეორიის მიხედვით, მამაკაცები, რომლებიც თავიანთ ცოლებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, ფსიქიკურად დაავადებულად მიიჩნეოდნენ, რომელთა განკურნება შესაბამისი ფსიქიატრიული მკურნალობის საშუალებით მიიღწეოდა. თუმცამა, აღნიშნული მალევ იქნა უარყოფილი მკვლევარების მიერ, ვინაიდან, მოძალადეთა ყოფაჟცევა არ შეესაბამებოდა ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების მახასიათებლებს. მოძალადეები თავს ესხმიან მხოლოდ მათ

¹ Kathleen, J.T., 1982. "The Battered Women Movement and the Creation of the Wife Beating Problem." Social Problems, Oxford University press 1982, 29, 83. 207.

უახლოეს პარტნიორებს ან ცოლებს, ხოლო ფსიქურად დაავადებულნი, მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ უახლოეს პარტნიორებზე ძალადობით”² აღნიშნული თეორიის კრიტიკაც სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხს ეხება, ვინაიდან შეუძლებელია ყოველი ფიზიკური ძალადობის გამოვლინება მიეწეროს ფსიქოლოგიურ პათოლოგიას, როდესაც მოძალადეს არ აღნიშნება ფსიქიკური ხასიათის პრობლემები. „კვლევაში ნაცემი ქალები ფსიქიკურად დაავადებულად ხასიათდებოდნენ, მაგრამ კვლევის შედეგები დამახინჯებული იყო, ვინაიდან მკვლევარები მხოლოდ იმ ქალების შემოწმებით შემოიფარგლებოდნენ, რომლებიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იმყოფებოდნენ. სინამდვილეში ნაცემი ქალები ფსიქიკურად დაავადებულები არ იყვნენ და მრავალი მათგანი არასწორი დიაგნოზის გამო მოთავსდა დაწესებულებებში და მათ ვერ შეძლეს ფსიქიკური და ფსიქოლოგიური შედეგების ამოცნობა”³.

მოგვიანებით ჩამოყალიბდა ახალი თეორია, რომელსაც შესწავლილი ქცევის თეორიის სახელწოდებით ვიცნობთ: „სწავლა დაკვირვების შედეგად ან დაკვირვებით სწავლა გულისხმობს ცნობიერ და არაცნობიერ დაკვირვებას და დკვირვების შედეგად ნასწავლი ქცევის გამეორებას. [...] ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, თუ ოჯახის ქალიშვილი ხედავს, რომ მამამისი სისტემატიკურად ძალადობს დედამისზე,⁴

გოგონა გათხოვების შემდგომ თუ იმავე სიტუაციაში ჩავარდება, მისთვის ადვილი იქნება შეეგულს მსხვერპლის როლს ან მოითმინოს ძალადობა”⁵ შესწავლილი ქცევის თეორიაც სწორედ აღნიშნულს გულისხმობს, რომ ვაჟები სწავლობენ ძალადობას მამისაგან, ხოლო გოგონები კი მსხვერპლის როლში ყოფნასა და ძალადობის მოთმენას დედისაგან. ამავე დროს მათ აღნიშნული ქმედებები საზოგადოებისათვის ნორმალურ და მისაღებ ქცევებად მიაჩნიათ.

კონტროლის დაკარგვის თეორიის მიხედვით მამაკაცები შეუცნობლად, საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვის გამო ძალადობენ. მამაკაცებს საზოგადოებისაგან მინიჭებული აქვთ როლი, რომ არ გამოხატონ საკუთარი ემოციები. შესაბამისად, მამაკაცს ხელს უშლის თამამად და ხმამაღლა გამოხატოს საკუთარი იმედგაცრუება და რისხვა საზოგადოებისაგან მოსალოდნელი რეაქციის გამო. აღნიშნული გრძნობები კი გროვდება და ბოლოს მამაკაცი ცდლიობს განთავისუფლდეს მისგან ძალადობის გამოყენების გზით.⁵ რაც გულისხმობს, რომ ძალადობის განხორციელება გამოწვეულია მამაკაცის უუნარობით, გამოხატოს და გააკონტროლოს საკუთარი რისხვა და უიმედობა. აღსანიშნავია, რომ კონტროლის დაკარგვის თეორია წინააღმდეგობაში მოდის მოძალადის საქციელთან. მოძალადეთავის ძალადობას სიფრთხილით წარმართავს განსაზღვრული ადამიანების მიმართ განსაზღვრულ დროსა და ადგილზე.⁶

² ფერაძე, მ., მიქანაძე, გ. და სააკავშვილი, ნ., 2011. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისთვის, სასწავლო კურსი თემაზე: ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თბილისი: გვ.11.

³ მესხი, მ., 2011. ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1, გვ. 62.

⁴ შალიკაშვილი, მ., 2011. ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი: მერიდიანი, გვ.54.

⁵ შეადარე. Emerson Dobash, R. and Dobash, R.P., 1992. Women, Violence and Social Change, Oxon: Routledge, გვ. 222.

⁶ შეადარე. მესხი, მ., 2011. ოჯახში ძალადობა - პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1, გვ. 63.

შეცნობილი უმწეობის თეორია საკმაოდ პოპულარულია. „ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლეონორ ვოლკერმა შეისწავლა იმ ქალთა ყოფაზევა, რომელებიც მოძალადე ქმრებთან თანაცხოვრებას არჩევენ. მისი პიპოთეზის თანახმად, ქალების გადაწყვეტილება, გააგრძელონ ცხოვრება მოძალადე ქმრებთან, იმაში გამოიხატება, რომ მუდმივი შეურაცხოვა მათ გაყრისათვის საჭირო ნებისყოფას ართმევს. აღნიშნული თეორია ეფუძნებოდა ნაცემ ქალთა საერთო თვისებებს: დაბალი ღირსების გრძნობა, განმარტოებისკენ მიღრეკილება ან კონტროლის დაკარგვის გაუთავისებლობა.”⁷

II ოქანები ძალადობის განხორციელების ფორმები

საქართველოს კანონში, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ,” მოცემულია ოჯახში ძალადობის განხორციელების ფორმები. კერძოდ, მის მე-3 მუხლში ჩამოთვლილია, რომ ოჯახში ძალადობა შესაძლებელია განხორციელდეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ამავე კანონის მე-4 მუხლის „ა” ქვეპუნქტი კი ლეგალურად განმარტავს ფიზიკური ძალადობის ცნებას. „ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომლებიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანხვას, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რომელიც იწვევს მსხვერპლის

ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს”, ზოგჯერ, ერთი შეხედვით, ნაკლებად სერიოზული ფიზიკური ძალადობის ფორმამ, როგორებიცაა ხელის კვრა ან ბიძგება, გამოიწვიოს ყველაზე სერიოზული დაზიანებები. მოძალადემ შესაძლოა მსხვერპლი მოისროლოს დივანზე, მიანარცხოს კედელზე, დააგოროს კიბეზე ან გადააგდოს მოძრავი ავტომობილიდან. აღნიშნულმა კი შეიძლება სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები გამოიწვიოს. როგორებიცაა: თავის ტვინის შერყევა, სისხლნაჟღენთები, მოტეხილობა, ზურგის ტვინისა დაზიანება და სხვა.

კანონის მე-4 მუხლის „ბ” ქვეპუნქტის მიხედვით: „ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხოვა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომლებიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.”

ფსიქოლოგიურ ძალადობას ახასიათებს აღქმადობის სირთულე და მის მიერ გამოწვეული პრობლემების ფარული ხასიათი. გაეროს ბავშვთა ფონდის 2013 წლის ეროვნული კვლევის⁸ მიხედვით, მოსახლეობის 64%-ს არ შეუძლია ფსიქოლოგიური ძალადობის ყველა ფორმის აღქმა. როგორებიცაა: დაბალი თვითშეფასება, საკუთარი თავის რწმენის დაკარგვა, დეპრესია, შფოთვა, თვითმკვლელობისაკენ მიღრეკილება, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და სხვა.

ფსიქოლოგიური ძალადობის დროს მოძალადის მუქარა ძალადობაზე ან ზიანის მიყენება, შესაძლოა მიმართული იყოს თავად მსხვერპლის, მისი ახლობელის ან თავად მოძალადისაკენ (თვითმკვლელობის მუქარა). აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიურ ძალადობას შეიძლება საერთოდ არ ახლდეს ფიზიკური ძალადობის საფრთხე, მიუხედავად ამისა, მოძალადემ შესაძლოა

⁷ იქვე.

⁸ დვალიშვილი, დ., 2013. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში. გაეროს ბავშვთა ფონდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unicef.org/georgia/media/2066/file> [წვდომის თარიღი 15.05.2025]. გვ.26.

დააზიანოს მსხვერპლის ურთიერთობები გარესამყაროსთან, მისი რეპუტაციის შებღალვითა და დამცირებით მეგობრების, თანამშრომლებისა თუ საზოგადოების სხვა წევრებთან მიმართებით.

საინტერესო შედეგები აჩვენა აღნიშნულმა კვლევამ, ფსიქოლოგიური ძალადობის აღქმისა და მსხვერპლის განათლების დონის მიმართების კუთხით. სადაც არასრული საშუალო განათლების მქონე ქალთა 12%, სრული საშუალო განათლების მქონე ქალთა 24% და უმაღლესი განათლების მქონე ქალთა 32% ემოციური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. მონაცემთა თანახმად, რაც უფრო განათლებულია ქალი, მით უფრო მეტად შეუძლია ემოციური ძალადობის ფორმის ამოცნობა. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ განათლებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ძალადობასთან ეფექტურ ბრძოლაში.⁹

კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „სექსუალური ძალადობა - სექსობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ.“

სექსუალური ძალადობა ფართო მნიშვნელობის მატარებელია, ოჯახში ძალადობის კუთხით იგი გულისხმობს ცოლის, როგორც სექსუალური ობიექტის მიმართ ძალადობრივ სექსუალურ დამოკიდებულებას. იგი შეიძლება მოიცავდეს სექსუალურ აქტზე.

დათანხმებას იძულებით, მუქარით, მანიპულაციითა და ფიზიკური ძალის გამოყენებით. „სექსუალური აქტის დროს განსაკუთრებული სისასტიკის გამოჩენას, უჭვიანობის ნიადაგზე ცოლის სხვებთან კავშირში დადანაშაულებას, პორნოგრაფიული ქმედებების ყურებისა და/ან გამეორების იძულებას.“¹⁰ ისეთ სექსუალური აქტივობის განხორციელების იძულებას, რომელიც ძალადობრივია, მტკიცნეულია, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი და მიუღებელია მსხვერპლისათვის. ან ისეთ დროს, როდესაც მსხვერპლს არ სურს სექსუალური აქტით დაკავდეს; მოძალადეთა ძირითადი გზავნილია, რომ მათ არ აქვთ საკუთარი სხეულის სურვილისამებრ გამოყენებისა და მოძალადისათვის უარის თქმის უფლება. ზოგჯერ ზოგიერთი მსხვერპლი ახერხებს წინააღმდეგობის გაწევას, თუმცა ისინი კიდევ უფრო მკაცრი მოპყრობის მსხვერპლნი ხდებიან. სექსუალური ძალადობა მსხვერპლთა უმეტესობაზე ღრმა ფსიქოლოგიურ კვალს ტოვებს, რის გამოც მსხვერპლები ერიდებიან აღნიშნულზე საუბარს. ზოგიერთი მათგანი კი საერთოდ ვერ აცნობიერებს აღნიშნული ქმედება არის თუ არა ძალადობრივი, ზოგისთვის კი მეუღლისა თუ პარტნიორისათვის სექსუალურ აქტზე უარის თქმა უტოლდება დალატს.

2019 წლის ანგარიშის მიხედვით, „2018 წლის მსგავსად, მიუხედავად გადადგმული ნაბიჯებისა, სექსუალური ძალადობა კვლავ რჩება გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე, დაფარულ და დაუსჯელ

⁹ ჩიტაშვილი, მ. და სხვები, 2010. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა. საბოლოო ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://short-link.me/19cVN>> [წვდომის თარიღი 15.05.2025]. გვ. 41.

¹⁰ არასამთავრობო ორგანიზაცია საფარი, 2016. რა არის ოჯახში ძალადობა? [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://short-link.me/14ul8>> [წვდომის თარიღი 15.05.2025]. „შესავალში.“

ფორმად.”¹¹

აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „ე” ქვეპუნქტის მიხედვით: „კონტროლის მიზანი - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.”

ზოგიერთი მოძალადე ოჯახის ეკონომიკურ რესურსებზე წვდომის შეზღუდვით ცდილობს გააკონტროლოს საკუთარი მსხვერპლი. როგორიცაა: დრო, ტრანსპორტირება, ტანისამოსი, საკვები, საცხოვრებელი, დაზღვევა და ფული. მოძალადისათვის არ აქვს მნიშვნელობა ოჯახში მთავარი შემომტანი ვინაა, შეიძლება ეს იყოს თავად მოძალადე, მსხვერპლი ან ორივე მათგანი. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ გააკონტროლოს, თუ რაში იხარჯება ოჯახის შემოსავალი. ხშირ შემთხვევაში მოძალადე ცდილობს ხელი შეუძლოს მსხვერპლს ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებასა და შენარჩუნებაში, რაც მას ძალაუფლებისა და კონტროლისათვის სჭირდება. ამის საპირწონედ, მსხვერპლი ანებებს სამსახურს ან წყვეტს სამსახურის ძიებას და დიასახლისობით ეხმარება ოჯახს. წებისმიერ შემთხვევაში გადაწყვეტილებების უპირობო მიმღებად მოძალადე გვევლინება, ხოლო მსხვერპლი კი ისეთ მდგომარეობაში ექცევა, როდესაც მან წებართვაუნდა მიიღოს მოძალადისაგან ფულის დახარჯვაზე, რათა უზრუნველყოს ოჯახის საჭიროებები. როდესაც მსხვერპლი გადაწყვეტს გაწყვიტოს მოძალადესთან

ურთიერთობა და წავიდეს, მოძალადემ შესაძლოა გამოიყენოს ეკონომიკური მანიპულაციები მასზე კონტროლის მოსაპოვებლად ან მის დასაბრუნებლად.

ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის კუთხით აღსანიშნავია, რომ 2024 წლის საქართველოს მონაცემებით¹² ეკონომიკურად აქტიური იყო ქალების 54.5% მაშინ, როდესაც მამაკაცების ანალოგიურმა მაჩვენებელმა 72.6% შეადგინა. ხოლო დასაქმების მაჩვენებელი ქალებში 49.0%, მამაკაცებში კი - 63.3% შეადგინა. შესაბამისად, მამაკაცებში ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების პროცენტული მაჩვენებლები არსებითად მაღალია ქალთა ანალოგიურ მაჩვენებლებზე.

ზემოაღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „ბ” ქვეპუნქტის მიხედვით: „იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკვება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.”

იძულება საკმაოდ ზოგადი ცნებაა და გულისხმობს ადამიანის საყოველთაო უფლებებსა და თავისუფლებებში უკანონო ჩარევასა და მის შეზღუდვას. იძულება თრგუნავს ადამიანის თავისუფალ ნებას, რომელიც წარმოადგენს „პიროვნების თავისუფლებას, რომელიც თავისთავში ნების ფორმირებისა და ნების განხორციელების თავისუფლებას გულისხმობს. თავის მხრივ, ნების ფორმირებაში გაიგება ქცევის მრავალი შესაძლებლობებიდან ერთ-ერთი ქცევის არჩევა, ხოლო ნების განხორციელება-

¹¹ ღია საზოგადოების ფონდი და კოალიცია თანასწორობისთვის, 2019. დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისათვის საქართველოში, 2019 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/19cPc> [წვდომის თარიღი 15.05.2025]. გვ.38.

¹² თოდრაძე, გ., „რედ.,“ 2024. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პუბლიკაცია, ქალი და კაცი საქართველოში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/18NZ4> [წვდომის თარიღი 15.05.2025]. გვ.67.

ში არჩეული ალტერნატიული ქცევიდან ერთ-ერთი ქცევის განხორციელება იგულისხმება.”¹³

2014 წლის ანგარიში საინტერესო მონაცემებს იძლევა ოჯახში ძალადობის აღქმადობის კუთხით, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 97.1%-ის აზრით, ფიზიკური ძალადობა ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმაა. შემდეგ ძალადობის მძიმე ფორმად აღქმულია სექსუალური ძალადობა (94.4%), კონტაქტების შეზღუდვა (91%), გადაადგილების შეზღუდვა (89.2%), ეკონომიკური კონტროლი (89%) და სიტყვიერი შეურაცხყოფა (83.5%). ხოლო სიტყვიერი ძალადობა მიჩნეულია ძალადობის უფრო მძიმე ფორმების წინმსწრებ ფორმად.¹⁴ საინტერესო ფაქტია, რომ გამოკითხულთა 76.20%-ისთვის მისაღებია მსხვერპლის მიერ დახმარების

ძიება ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან და არა სამართალდამცავ ორგანოებთან,¹⁵ რაც თავის მხრივ ართულებს ოჯახში ძალადობასთან ეფექტურ ბრძოლას, აგრეთვე მანიშნებელია იმის, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი არ ენდობა სამართალდამცავ ორგანოებს. თავად იურიდიულ სფეროში მოღვაწეები¹⁶ კი უინტერესოდ თვლიან ოჯახში ძალადობის საქმეებზე მუშაობას. ხოლო მათ პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია ძალადობის ორი სახე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური. ყველაზე ბოლო ადგილს კი იძულება იკავებს.¹⁷

¹³ დვალიძე, ი., ხარანაული, ლ., თუმანიშვილი, გ. და წიქარიშვილი, კ., 2019. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 277.

¹⁴ შეადარე. სუმბაძე, ნ., 2014. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, 2014 წლის ნოემბრის ანგარიში. გვ. 7.

¹⁵ შეადარე. იქვე. 6.

¹⁶ აქ იგულისხმებიან, მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა კვლევაში.

¹⁷ შეადარე. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015. ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების სამართლებრივი საჭიროებების კვლევა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://short-link.me/19hd1>> [წვდომის თარიღი 14.05.2025]. გვ.11.

**შსს-ის სტატისტიკური მონცემები - ძალადობის სახეების გამოვლინება წლების
მიხედვით¹⁸**

სახე წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025 იანვარ-მარტი
ფიზიკური	1208	1151	990	1705	2582	2587	2494	2284	129	175	36
ფსიქოლოგიური	2626	3001	4176	7109	9445	9503	8627	8042	746	836	171
ეკონომიკური	143	129	143	198	255	214	203	169	2	6	1
სექსუალური	19	11	9	25	33	31	50	49	23	45	6
იძულება	146	96	97	74	121	87	72	75	20	29	3
უფლებელყოფა	0	0	24	68	155	67	83	54	1	2	0
სულ	4142	4388	5439	9179	12591	12489	11529	10673	921	1093	217

როგორც წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, ყოველწლიურად მატულობს თითოეული ძალადობის ფორმით განხორციელებული ოჯახში ძალადობა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ოთხი თვის მონაცემები უკვე აღემატება 2015 წლის 12 თვის მონაცემებს, ხოლო უტოლდება 2016 წლის 12 თვის მონაცემებს, რაც შეიძლება ორი ფაქტორით აიხსნას:

- სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვიანობის მატებით და საზოგადოების ზოგადი ცნობიერების ამაღლებით;

- თავად ოჯახში ძალადობის ფაქტების მომატებით.

საგულისხმოა, რომ არაბუნებრივად იკლებს დანაშაულთა ჩადენის მაჩვენებელი 2022 წლიდან მოყოლებული დღემდე. წარმოუდგენელია, რომ იქ, სადაც ყოველწლიურად 10 000-ზე მეტი ოჯახში ძალადობის ფაქტი ფიქსირდებოდა, უცბად ჩამოვარდა აღნიშნული მაჩვენებელი 1000 ერთეულზე. თან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ამ საანგარიშო წლებში რადიკალური სისხლისამართლებრივი პოლიტიკის ცვლილება არ მომხდარა.

¹⁸ სტატისტიკური ინფორმაცია, 2015 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 644fc1fbeecfe.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2016 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 644fc2414cb0d.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2017 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 644fc28277965.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2018 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 6037653bc2f2b.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2019 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 603766127a88d.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2020 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 6037669b135d6.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2021 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 620a27a26ae30.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2022 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 63d8e6f9f210a.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2023 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 65e5ccbc11080.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2024 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 679cc44629ff9.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 სტატისტიკური ინფორმაცია, 2025 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: 68138561c1439.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].

III ოჯახში ძალადობის სუბიექტები

ოჯახში ძალადობაში, ისევე, როგორც ნებისმიერ ძალმომრეობით ქმედებაში, მნიშვნელოვანია სამი კომპონენტის არსებობა:

- მოძალადე;
- ძალადობრივი ქმედება;
- მსხვერპლი.

საქართველოს კანონში, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ,” მოცემულია, როგორც მოძალადისა და მსხვერპლის, აგრეთვე ოჯახის წევრის ლეგალური დეფინიციები. კერძოდ, მის მე-4 მუხლის „ვ” ქვეპუნქტის მიხედვით მსხვერპლს წარმოადგენს ქალი, არასრულწლოვანი ან ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით, ან იძულებით. ხოლო მსხვერპლს სტატუსს ანიჭებს შსს-ის შესაბამისი სამსახური, სასამართლო ორგანო ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების აგუფი. ხოლო მე-4 მუხლის „თ” ქვეპუნქტის მიხედვით მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს არღვეს ზემოაღნიშნული გზებით. ასევე, აღნიშნული მუხლის „ზ” ქვეპუნქტში მო-

ცემულია ოჯახის წევრის ლეგალური დეფინიცია.¹⁹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციის 111-ე მუხლის²⁰ შენიშვნა პრაქტიკულად ზედმიწევნით იმეორებს ზემოაღნიშნულ კანონში მოცემული ოჯახის წევრის დეფინიციას, რაც მისასალმებელია. თუმცადა 2012-დან 2017 წელებში მოქმედი რედაქცია²¹ ოჯახის წევრის ცნების ქვეშ არ მოიაზრებდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს და მოიცავდა მხოლოდ მეუღლეს (ანუ სამოქალაქო სამართლებრივად რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს), რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენდა პრაქტიკული თვალსაზრისით. ხოლო 2017 წლის პირველ ივნისს განხორციელებული ცვლილებით აღნიშნული პრობლემა გადაიჭრა და ოჯახის წევრთა სიას დაემატა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირიც. მიუხედავად ამისა, გარკვეული სამართლებრივი პრობლემა წარმოქმნა ახალმა დანაწესმაც, ვინაიდან ახალი ცვლილებით, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ყოფილი პირი არ ექცეოდა კანონის მოქმედების ფარგლებში, მაშინ, როდესაც რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ყოფილი მეუღლე ითვლება ოჯახის წევრად. აღნიშნული სამართლებრივი პრობლემა გადაიჭრა უკვე შემდგომა ცვლილებებმა, რომელიც დღეს მოქმედ

¹⁹ კერძოდ, ოჯახის წევრად ითვლება დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობითადსაზრდელი, მინდობითადმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდაჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას;

²⁰ მუხლი 111, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=275> [წვდომის თარიღი 14.05.2025].

²¹ მუხლი 111, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=191> [წვდომის თარიღი 14.05.2025]. (ძალადაკარგულია).

ვერსიად ჩამოყალიბდა.

პრაქტიკაში ასევე პრობლემატური საკითხია ე.წ. მეგობარი ქალის/მამაკაცის მიმართ განხორციელებული ძალადობის კვალიფიკაციის საკითხი, ვინაიდან კანონი ასეთ პირებს არ მოიაზრებს ოჯახის წევრად, თუმცადა ე.წ. სტამბოლის კონვენციის მე-3 მუხლი²² აღიარებს მათ ოჯახური ძალადობის სუბიექტად. შესაბამისად, საჭიროა კანონში აღნიშნულ პირთა წრის გაფართოვება, რაც თავის მხრივ სტამბოლის კონვენციასთანაც მოვა შესაბამისობაში. დასაზუსტებელია აგრეთვე კანონმდებლისული ხედვა სიძისა და რძლის, როგორც ოჯახში ძალადობის სუბიექტთა საკითხიც, ვინაიდან კანონმდებელი აღნიშნული დანაწესით ორ სხვადასხვა სტანდარტს გვთავაზობს. „მაგალითად: თუ მოძალადემსცემა თავისი ცოლის ძმა (რომელიც არ იწოდება სიძედ), სახეზე არ გვექნება ოჯახში ძალადობა, ხოლო, თუ პირიქით მოხდა – მოძალადემსცემა თავისი დის ქმარი (რომელიც იწოდება სიძედ), გამოდის, რომ მან ჩაიდინა ოჯახში ძალადობა, რაც არასწორია, რადგან მოძალადემ და მსხვერპლიც თრმებივად უნდა იყვნენ ერთმანეთის ოჯახის წევრები და არა ცალმხრივად.²³ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ხარვეზები გამოსწორდეს და გაფართოვდეს ოჯახში ძალადობის სუბიექტთა რაოდენობა, რათა უკეთ განხორციელდეს ოჯახში ძალადობის აღკვეთა.

IV ოჯახში ძალადობის სუბიექტთა იღენტიფიცირება და სტატუსის მინიჭება

ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის სუბიექტთა იღენტიფიცირება. მოძალადისა და მსხვერპლის ძალადობის ადრეულ ეტაპზევე იღენტიფიცირებამ შესაძლოა გადამწყვეტი როლი შეასრულოს განმეორებითი ძალადობის თავიდან აცილების საქმეში. „მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალადობაზე რეაგირების უფლებამოსილმა პირებმა სრულყოფილად შეისწავლონ ოჯახში ძალადობის ფაქტები და შეაფასონ პრობლემა, შეძლების დაგვარად შემჭიდროვებულ ვადებში დაადგინონ ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე. ეს მოქმედებები თავისთავდ გარანტია იმისა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ძალადობის დროულად აღკვეთა, მსხვერპლთა უფლებებისა და ინტერესების ეფექტიანი დაცვა და მომავალში მათი განმეორების თავიდან აცილება.²⁴ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლთა ინტერესებისა და უფლებების დასაცავად უმნიშვნელოვანებია, ძალადობის ფაქტების სრულყოფილი შესწავლა, არსებული პრობლემის სრულფასოვანი გაზრება. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ სახელმწიფოს კანონისმიერი ვალდებულებაა ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მოძალადეთა რეაბილიტაცია, აღნიშნულისათვის კი უმნიშვნელოვანებია იმათვის და უსაფრთხოება, 1, გვ.8.

²² მუხლი 3, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> [წვდომის თარიღი 14.05.2025].

²³ კოჭლამაზაშვილი, ბ., 2019. ოჯახში ძალადობის საქმეებზე კვალიფიკაციის პრობლემური ასპექტები. მართლმსახულება და კანონი, 2(62), გვ.37.

²⁴ სააკაშვილი, ნ., 2019. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების თავისებურებანი. პოლიცია და უსაფრთხოება, 1, გვ.8.

დროული იდენტიფიცირება, რომელიც უნდა განხორციელდეს საფუძვლიანი ვარაუდის არსებობის პირობებში საქმის ყოველმხრივი და სრულფასოვანი შესწავლისა და ურთიერთშეჯრებული მტკიცებულებების საფუძველზე. ცხადია, კანონით ვერ იქნება გათვალისწინებული ძალადობის თითოეული ფორმის ამოცნობის ინდიკატორები, თუმცადა აუცილებელია, სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების სათანადო მომზადება და მათთვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ამ კუთხით, რათა მათ უკეთ შეძლონ ცალკეული ძალადობის ფორმების იდენტიფიკაცია.

ოჯახში ძალადობის სუბიექტთა იდენტიფიკაცია შედარებით მარტივია ძალადობის ისეთი ფორმების არსებობის დროს, როდესაც თვალით ითლადაა შესამჩნევი მსხვერპლზე ძალადობის კვალი, მაგ. ფიზიკური ძალადობის დროს. თუმცადა, ისეთი ძალადობის ფორმები, როგორებიცაა: ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და იძულება, შედარებით როტულია მათი ამოცნობა. გარდა ძალადობის ფორმების ამოცნობისა, „ასევე უურადღება გასამახვილებელია იმ გარემოებაზეც, რომ შესაძლოა წავაწყდეთ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, სადაც შესაძლოა საქმე გვეონდეს შერეულ ბრალთანაც კი, მაშინ როდესაც ცოლი გვევლინება, როგორც ფსიქოლოგიური მოძალადე, ხოლო ქმარი ფიზიკური მოძალადე, ასეთ შემთხვევაში ორივე პირი მიეცემა პასუხისმგებაში.“²⁵ შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შესაძლოა ორივე პირის მიმართ იქნას გამოტანილი დამცავი ან შემაკავებელი ორდერი, რაც თავის მხრივ მოცემულ საკითხს კიდევ ართულებს

იმ კუთხით, რომ პრობლემური იქნება ორდერით გათვალისწინებული პირობების განსაზღვრა და შესრულება.

რაც შეეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების საკითხს, აღნიშნული მოწესრიგებულია კანონის მე-16 პრიმა მუხლით, რომლის მიხედვითაც, მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭების უფლებამოსილება აქვს შესსის შესაბამის ორგანოებს, საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოს. აგრეთვე მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს, თუ მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად არ მიმდინარეობს დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემის პროცესი, ან ძალადობასთან დაკავშირებით არ ხორციელდება სს დევნის ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული სტატუსი მოქმედებს მისი მინიჭებიდან 18 თვის მანძილზე, ხოლო, თუ მსხვერპლი მოთავსებულია თავშესაფარში, თავშესაფარში მოთავსების ვადით. აღნიშნული ვადა კი კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სამ თვემდეა განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრა მოწესრიგებულია მთავრობის დადგენილებით.²⁶

V. ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენა

ოჯახური ურთიერთობები მეტად პირადი და ფაქტიზი ხასიათისაა, შესაბამისად, ოჯახური ურთიერთობების, პრობლემებისა და მით უმეტეს ძალადო-

²⁵ გოგუაძე, ე., 2017. აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2, გვ.68.

²⁶ დაწვრილებითიხ. საქართველოსმთავრობის 2014წლის 18 დეკემბრის №684 დადგენილება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/382_47041_768172_684181214.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].

ბის ფაქტების სააშკარაოზე გამოტანისაგან თავს იყავებენ როგორც ოჯახის წევრები, აგრეთვე მათ გარშემო მყოფი ადამიანებიც. ცალსახაა, რომ აღნიშნულ მიღომას თანამედროვე საზოგადოებაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული და მისი შეცვლა ურთულესი პროცესია. სწორედ ამიტომ, ოჯახში ძალადობა მიეკუთვნება ლატენტურ დანაშაულთა კატეგორიას, რაც იმას გულისხმობს, რომ სამართალდამცავი ორგაონების მიერ გამოვლენილ შემთხვევებზე გაცილებით დიდი რაოდენობა შესაბამისი რეაგირების გარეშე რჩება, მიუხედავად ყოველწლიურად მზარდი სტატისტიკური მონაცემებისა და მსხვერპლთა გაზრდილი მიმართვიანობისა. თავის მხრივ ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენა არაერთ სირთულესთანაა დაკავშირებული. ვინაიდან, სახელმწიფო, რომელმაც აქტიური როლი უნდა შეასრულოს ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით, მთლიანად დამოკიდებულია მსხვერპლის გადაწყვეტილებაზე, მიმართოს სათანადო უწყებებს და გადადგას მისთვის ურთულესი ნაბიჯი. მსხვერპლის პასიურობა ძალადობის ფაქტის შეტყობინებასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოიწვიოს ზოგადმა სტერეოტიპულმა აზროვნებამ და თავად მსხვერპლის შიშმა, მოძალადეზე ეკონომიკურად დამოკიდებულებამ, სირცხვილმა და სხვა. მიუხედავად სახელმწიფო უწყებების არაერთი წინ გადადგმული ნაბიჯისა, გამარტივდეს ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენა და მსხვერპლმა იოლად შეძლოს შესაბამისი დახმარების მიღება.²⁷ მაინც პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ოჯახში ძალადობის

ფაქტების გამოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა ცალსახად გაზრდილია, მსხვერპლებს მაინც დიდი ძალისხმევა სჭირდებათ იმის დასამტკიცებლად, რომ ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობისა და მუქარის მსხვერპლები არიან და შესაბამისი სერვისებით დახმარებას საჭიროებენ, მაშინ როდესაც სამართალდამცავი ორგანოები თავადუნდაახდენდნენ ოჯახში ძალადობის პრევენციას და არსებული მდგომარეობის მონიტორინგს.²⁸

უმნიშვნელოვანებია ზემოაღნიშნული კანონის მე-9 პრიმა მუხლი, რომელიც უშუალოდ ძალადობის შემთხვევების გამოვლენას ეხება და ადგენს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები, აგრეთვე კანონით დადგენილი წესით – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი. ხოლო ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება ეკისრებათ სამედიცინო დაწესებულებებს, შემთხვევაში – აგრეთვე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსი ლ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.

იმისათვის, რომ ქვეყნის მასშტაბით გაიზარდოს ოჯახში ძალადობის ფაქტების

²⁷ მაგალითად, 2018 წლის 11 თებერვლიდან მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ სატელეფონო ხაზის „112“-ის მომსახურებით ისარგებლონ ხაზზე დარეკვის გარეშე აპლიკაციის მეშვეობით და SOS ღილაკით შეტყობინება გააგზავნონ დანაშაულის შესახებ, პარალელურად გააგზავნონ მათი ადგილმდებარეობის კოორდინატები.

²⁸ შეადარე. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, გვ.27.

გამოვლენის მაჩვენებელი, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს აქტიური საინფორმაციო კამპანიის წარმოება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით. აგრეთვე სათანადოდ მომზადებული კადრების საჭირო რაოდენობამდე გაზრდა და საზოგადოების მხრიდან ნდობის მოპოვებაზე ზრუნვა.

დასკვნა

ოჯახში ძალადობა რთული, კომპლექსური და ზედმეტად პირადი საკითხია. იგი მოიცავს ადამიანთა თანაცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს და წარმოადგენს დევიაციურ სოციალურ მოვლენას. სტატიაში განხილულმა თეორიულმა პარადიგმებმა ნათლად წარმოაჩინა აღნიშნული მოვლენის მრავალფეროვანი დეტერმინანტები, დაწყებული ინდივიდუალური ფაქტორებიდან, დამთავრებული სოციოკულტურული ნორმებითა და გენდერული უთანასწორობით.

ნაშრომში დეტალურად გაანალიზებულმა ძალადობის ფორმებმა ნათლად წარმოაჩინა, თუ რა დამანგრეველი ეფექტის მატარებელია აღნიშნული დანაშაული, არამხოლოდ დანაშაულის უშუალო მსხვერპლზე, არამედ ოჯახის სხვა წევრებისთვისაც, განსაკუთრებით კი მცირეწლოვან და არასრულწლოვან პირთა ნორმალურ განვითარებაზე.

ერთ-ერთ საკვანძო საკითხად კვლავ რჩება ოჯახში ძალადობის გამოვლენის, ლატენტურობის პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს

ზემოაღნიშნული დანაშაულის გამოძიებასა და მსხვერპლთა დაცვას. ამ კონტექსტში კვლევამ ხაზი გაუსვა სტატისტიკური ინფორმაციის გააზრების მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი დანაშაულის მსხვერპლის მიერ ძალადობის ცალკეული ფორმის აღქმის საკითხს. გამოიკვეთა მკაფიო პირდაპირპოპორციული კავშირი განათლების დონესა და ძალადობის ფორმის აღქმის სიზუსტესთან. ანუ, რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო უკეთ აცნობიერებს ძალადობის ცალკეულ ფორმებსა და მათ ფარულ გამოვლინებებს. აღნიშნული კი მიუთითებს ცნობიერების ამაღლებისა და განათლების კრიტიკულ საჭიროებაზე. სამწუხაროდ, ოფიციალური დანაშაულის სტატისტიკა ცალკეული ძალადობის ფორმების მიხედვით მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პრობლემის სიმწვევესა და მასშტაბებს.

მიუხედავად მიღწეული გარკვეული პროგრესისა, ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა კვლავაც გრძელვადიან და კომპლექსურ ამოცანად რჩება, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეებისა და თითოეული მოქალაქის კოორდინირებულ და თანმიმდევრულ ძალისხმევას. მნიშვნელოვანია, ინოვაციური და ეფექტური პრევენციული პროგრამების შემუშავება და დაზარალებულთა რეაბილიტაციისათვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა. ვინაიდან, ოჯახში ძალადობისაგან თავისუფალი და ღირსეული საზოგადოების „მშენებლობა“ საერთო პასუხისმგებლობაა.

გიგლიობრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არასამთავრობო ორგანიზაცია საფარი, 2016. რა არის ოჯახში ძალადობა? [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/14ui8> [წვდომის თარიღი 15.05.2025].
2. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში.
3. გოგუაძე, ე., 2017. აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 2.
4. დვალიძე, ი., ხარანაული, ლ., თუმანიშვილი, გ. და წიქარიშვილი, კ., 2019. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბილისი: იურისტების სამყარო.
5. დვალიძვილი, დ., 2013. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში. გაეროს ბავშვთა ფონდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unicef.org/georgia/media/2066/file> [წვდომის თარიღი 15.05.2025].
6. თოდრაძე, გ., „რედ.“ 2024. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური პუბლიკაცია, ქალი და კაცი საქართველოში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/18NZ4> [წვდომის თარიღი 15.05.2025].
7. კოჭლამაზაშვილი, ბ., 2019. ოჯახში ძალადობის საქმეებზე კვალიფიკირებული პროცესური ასპექტები. მართლმსაჯულება და კანონი, 2(62).
8. მესხი, მ., 2011. ოჯახში ძალადობა - პროცესურის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. საერთაშორისო სამართლის ურნალი, 1.
9. სააკაშვილი, ნ., 2019. ქალთა მიმართ ძალადობისან/დაოჯახშიძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების თავისებურებანი. პოლიცია და უსაფრთხოება, 1.
10. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015. ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატების სამართლებრივი საჭიროებების კვლევა. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/19hd1> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
11. სუმბაძე, ნ., 2014. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, 2014 წლის ნოემბრის ანგარიში.
12. ფერაძე, მ., მიქანაძე, გ. და სააკაშვილი, ნ., 2011. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინებისთვის, სასწავლო კურსი თემაზე: ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
13. ღია საზოგადოების ფონდი და კოალიცია თანასწორობისთვის, 2019. დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისათვის საქართველოში, 2019 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/19cPc> [წვდომის თარიღი 15.05.2025].
14. შალიკაშვილი, მ., 2011. ვიქტიმოლო-

- გია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი: მერი-დიანი.
15. ჩიტაშვილი, მ. და სხვები, 2010. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა. საბოლოო ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://short-link.me/19cVN> [წვდომის თარიღი 15.05.2025].
 16. Emerson Dobash, R. and Dobash, R.P., 1992. Women, Violence and Social Change, Oxon: Routledge.
 17. Kathleen, J.T., "The Battered Women Movement and the Creation of the Wife Beating Problem." Social Problems, Oxford University press 1982, 29.
- ინტერნეტ რესურსები:**
18. სტატისტიკური ინფორმაცია, 2015 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/644fc1fbeecfe.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 19. სტატისტიკური ინფორმაცია, 2016 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/644fc2414cb0d.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 20. სტატისტიკური ინფორმაცია, 2017 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/644fc28277965.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 21. სტატისტიკური ინფორმაცია, 2018 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/6037653bc2f2b.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 22. სტატისტიკური ინფორმაცია, 2019 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/603766127a88d.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 23. სტატისტიკური ინფორმაცია, 2020 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/6037669b135d6.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 24. სტატისტიკური ინფორმაცია, 2021 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/620a27a26ae30.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 25. სტატისტიკური ინფორმაცია, 2022 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/63d8e6f9f210a.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 26. სტატისტიკური ინფორმაცია, 2023 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/65e5ccbc11080.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 27. სტატისტიკური ინფორმაცია, 2024 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/679cc44629ff9.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
 28. სტატისტიკური ინფორმაცია, 2025 წელი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/68138561c1439.pdf> [წვდომის თარიღი 14.05.2025].

ნორმატიული მასალა:

1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=275> [წვდომის თარიღი 14.05.2025].
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=191> [წვდომის თარიღი 14.05.2025]. (ძალადაკარგულია).
4. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობისან/დაოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=25> [წვდომის

- თარიღი 14.05.2025].
5. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №684 დადგენილება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/382_47041_768172_684181214.pdf [წვდომის თარიღი 14.05.2025].

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Chitashvili, M. and others, 2010. National survey on domestic violence against women. Final report. [Online] available at: <https://short-link.me/19cVN> [Accessed 15.05.2025]. (in Georgian)
2. Dvalidze, I., Kharanauli, L., Tumanishvili, G. and Tsikarishvili, K., 2019. Crimes against human rights and freedoms under the Criminal Code of Georgia (Commentary), Tbilisi: Lawyers' World. (in Georgian)
3. Dvalishvili, D., 2013. Violence against children in Georgia. United Nations Children's Fund. [online] available at: <https://www.unicef.org/georgia/media/2066/file> [Accessed 15.05.2025]. (in Georgian)
4. Emerson Dobash, R. and Dobash, R.P., 1992. Women, violence and social change, Oxon: Routledge. (in English)
5. Goguadze, E., 2017. Peculiarities of Application of Preventive Measures to Criminal Cases of Domestic Violence. Current Issues of Criminal Law, 2. (in Georgian)
6. Institute for Social Research and Analysis, 2015. Research on the legal needs of judges, prosecutors and lawyers regarding domestic violence issues. [Online] available at: <https://short-link.me/19hdi> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
7. Kathleen, J.T., 1982. "The battered women's movement and the creation of the problem of wife beating". Social Problems, Oxford University Press 1982, vol. 29. (in English)
8. Kochlamazashvili, B., 2019. Problematic aspects of qualification in cases of domestic violence. Justice and Law, 2(62). (in Georgian)
9. Meskhi, M., 2011. Domestic Violence - Moral and Legal Aspects of the Problem Journal of International Law, 1. (in Georgian)
10. Non Govermental Organisation Sapari, 2016. What is Domestic Violence? [Online] available at: <https://short-link.me/14ul8> [Accessed 15.05.2025].(in Georgian)
11. Open Society Foundation and Coalition for Equality, 2019. Implementation of the right to protection from discrimination for various groups in Georgia, 2019 Report. [Online] available at: <https://short-link.me/19cPc> [Accessed 15.05.2025]. (in Georgian)
12. Peradze, M., Mikanadze, G. and Saakashvili, N., 2011. Manual for police trainers for the training course on the topic: Domestic violence and countering mechanisms according to the legislation of Georgia. (in Georgian)
13. Saakashvili, N., 2019. Particularities of the fight against the problems of violence against women and/or domestic violence. Police and Security, 1. (in Georgian)
14. Shalikashvili, M., 2011. Victimology - The Science about Victim of a Crime, Tbilisi: Meridian. (in Georgian)
15. Sumbadze, N., 2014. Perception of Violence Against Women and Domestic Violence in Tbilisi, Kakheti and Samegrelo-Zemo Svaneti, Public Policy Institute, November 2014 Report. (in Georgian)
16. Todradze, G., "Ed.", 2024. Statistical publication of the National Statistics Service of Georgia, Women and Men in Georgia. [Online] available at: <https://short-link.me/18NZ4> [Accessed 15.05.2025].(in Georgian)
17. United Nations Women's Organization, 2017. Monitoring Report on the 2016-2017 Action Plan on Measures to Combat Violence Against Women and Domestic Violence and Protect Victims (Affected). (in Georgian)

Internet Resources:

1. Statistical information, 2015. [Online] available at: <<644fc1fbeecfe.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
2. Statistical information, 2016. [Online] available at: <<644fc2414cb0d.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
3. Statistical information, 2017. [Online] available at: <<644fc28277965.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
4. Statistical information, 2018. [Online] available at: <<6037653bc2f2b.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
5. Statistical information, 2019. [Online] available at: <<603766127a88d.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
6. Statistical information, 2020. [Online] available at: <<6037669b135d6.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
7. Statistical information, 2021. [Online] available at: <<620a27a26ae30.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
8. Statistical information, 2022. [Online] available at: <<63d8e6f9f210a.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
9. Statistical information, 2023. [Online] available at: <<65e5ccbc11080.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
10. Statistical information, 2024. [Online] available at: <<679cc44629ff9.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
11. Statistical information, 2025. [Online] available at: <<68138561c1439.pdf>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)

Normative Materials:

1. Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence [Online] available at: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
2. Criminal Code of Georgia. [Online] available at: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=275>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
3. Criminal Code of Georgia. [Online] available at: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=191>> [Accessed 14.05.2025]. (Out of force). (in Georgian)
4. Law of Georgia on Prevention of Violence against Women and/or Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Violence. [Online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=25>> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)
5. Resolution of the Government of Georgia No. 684 of December 18, 2014. [Online] available at: <https://www.gov.ge/files/382_47041_768172_684181214.pdf> [Accessed 14.05.2025]. (in Georgian)